ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 97260512**

თარიღი:**20/02/2026**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N- 03

დ. ლენტეხი. 19 თებერვალი.2026წ

მიმდინარე წლის 19 თებერვალს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხუტა მუკბანიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 20(ოცი) წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი, საკრებულოს მოწვეული სპეციალისტი ამირან ლიპარტელიანი და ა(ა)ი.პირების ხელმძღვანელი პირები.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი და აპარატის სპეციალისტები - ესმა მუკბანიანი და ელისო გაზდელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.**

/მომხს: გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით ფურელიანი/

2.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის N- 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

/მომხს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

4. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2026 წლის გეგმა-პროგრამების პროექტების დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი//

5. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის ს/კ 234065613 სოფელ რცხმელურის ბაღის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

6. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის ს/კ 234065613 სოფელ სასაშის ბაღის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

7. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის ს/კ 234065613 სოფელ საყდრის ბაღის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

8. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის ს/კ 234065613 სოფელ შკედის ბაღის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

9. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის ს/კ 234065613 სოფელ ჩიხარეშის ბაღის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

10. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის ს/კ 234065613 სოფელ წანაშში ბაღის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

11. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის ს/კ 234065613 სოფელ ხელედის ბაღის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

12.ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის ს/კ 234065613 სოფელ ხოფურის ბაღის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

აზრი გამოთქვა: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა - სხვადასხვაში გათვალისწინებული იქნას საკითხი დაბაში წყლის სისტემის რეაბილიტაციის დროს დაზიანებული შიდა გზების მოწესრიგება.

დღის წესრიგთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირა სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა: ჩვენ ბიუროს სხდომაზე მივიღეთ გადაწყვეტილება სხდომის დღის წესრიგს დამატებოდა საკითხები ბაღის შენობების გადაცემაზე, მაგრამ საკითხების დამატებით განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ საკითხი საჭიროებს მეტ კონკრეტიკას, კერძოდ არ არის გამიჯნული ბაღის ფართი და საზოგადოებისთვის განკუთვნილი ფართი. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს საკითხები განსახილველად უნდა გადაიდოს შემდგომი სხდომისთვის.

აღნიშნულ საკითხზე ანალოგიური აზრი დააფიქსირეს დეპუტატებმა დავით ფურელიანმა და მარეხი ონიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

მომხრე -20

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.**

/მომხს: გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით ფურელიანი/

2.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის N- 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

/მომხს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

4. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2026 წლის გეგმა-პროგრამების პროექტების დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

5. **სხვადასხვა.(დაბაში წყლის სისტემის რეაბილიტაციის შედეგად დაზიანებული გზების მოწესრიგება).**

1მოისმინეს: გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით ფურელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არ იცვლება არაფერი, რა ფასებიც იყო გასულ წელს დადგენილი, რჩება იგივე ფასები.კერძოდ;

1. დაბა ლენტეხში მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 13.44 ლარს.

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ლენტეხისთვის დადგენილი ფასის 40%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 5.40 ლარს.

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს დაბა ლენტეხისთვის დადგენილი ფასის 30%-ით და იგი შეადგენს 4,00 ლარს.

4. ,,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ლენტეხისთვის დადგენილი ფასის 80%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 10.75 ლარს.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 20

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დადგინდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი წარმოდგენილი სახით.

2.მოისმინეს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის N- 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილების პროექტის თანახმად;

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2026 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 9,2 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 8,386.8 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 620,0 ათასი ლარით (7,7%-ით).

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8,306,0 ათასი ლარით;

  2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8,2%-ით (610,1 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს

ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

Ø **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 80,0 ათას ლარს;

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 14,3%-ით (10,0 ათასი ლარით) იზრდება.

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

Ø **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 8,333.1 ათასი ლარამდე, მათ შორის:

ü სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 8,333.1 ათასი ლარი;

ü სხვა დონის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები 0.0 ათასი ლარი;

Ø **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 150.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

ü პროცენტები 20,0 ათასი ლარი.

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 25,0%-ით (5,0 ათასი ლარით) იზრდება.

ü რენტა 130.0 ათასი ლარი;

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა 9,3%-ით (12.1 ათასი ლარით) იზრდება.

Ø **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 100.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

ü სანებართვო მოსაკრებლები 50,0 ათასი ლარი;

ü ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 15,0 ათასი ლარი;

ü შემოსავლები მომსახურების გაწევიდან 35,0 ათასი ლარი;

Ø **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 30,0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:

ü ჯარიმები, სანქციები და საურავები 30,0 ათასი ლარი;

Ø **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 100.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

ü შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 100,0 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 20,400.0 ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 674,2 ათასი ლარით).

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნისნული გამომდინარეობს 2026 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1,600 ლარის ოდენობით ნაცვლად 1 460 ლარისა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

Ø **ინფრასტრუქტურის განვითარება - 8,340,6 ათასი ლარი; მათ შორის:**

ü **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 200,0 ათასი ლარი;

- **წყლის სისტემების** განვითარება -1,073,5 ათასი ლარი;
- **გარე განათება - 30,0 ათასი ლარი;**
- **კეთილმოწყობის ღონისძიებები-2,202.5 ათასი ლარი:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.
- **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 520,1 ათასი ლაი.

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.
- **სოფლის მხარდაჭერის** პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - 604,0 ათასი ლარი;

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მოასფალტება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას ირებს სოფლის კონკპრეტული მოსახლეობა.

Ø **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 847,0 ათასი ლარი; მათ შორის:**

- **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 554,0 ათასი ლარი**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

- **გარემოს დაცვა - 293,0 ათასი ლარი**

  მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა. დაირგვება 1200 ხე.

Ø **განათლება - 1,555,7 ათასი ლარი, მათ შორის:**

- **სკოლამდელი განათლება - 1,555,7 ათასი ლარი;**

  2025 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 159,7 ათასი ლარით (10,3%), რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით;

Ø **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2,634.5 ათასი ლარი მათ შორის:**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 830,5 ათასი ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1,788,0 ათასი ლარი:**

  პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ü **რელიგიური და ახალგაზრდობის მხარდაჭერა -16,0 ათასი ლარი:**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მონასტრების შეშით უზრუნველყოფა, ასევე მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

Ø **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 587,3 ათასი ლარი, მათ შორის:**

ü **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 267,3 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არა გადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

ü **სოციალური პროგრამები - 320,0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:**

· შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება106,0 ათასი ლარი;

· სარიტუალო მომსახურება-4.4 ათასი ლარი;

· ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება- 10,6 ათასი ლარი

· ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა-15,0 ათასი ლარი;

· სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება-5.0 ათასი ლარი

· მრავალშვილიანი ოჯახების (4 შვილი და მეტი) და მარტოხელა დედეის/მამის ფინანსური დახმარება-25,0 ათასი ლარი

· ხანდაზმულთა სოციალური უზრუნველყოფა-9,0 ათასი ლარი

· დიალეზზე დამოკიდებული ბენეფიციართა დახმარება-15,0 ათასი ლარი

· უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა-0,0 ათასი ლარი

· სამედიცინო მომსახურების ხარჯი-130,0 ათასი ლარი

· სტიქიის (დიდთოვლობის) შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება-0,0 ათასი ლარი

Ø **მმართველობა - 6,434.9 ათასი ლარი, მათ შორის:**

ü საკრებულოს დაფინანსება - 1,480.2ათასი ლარი;

ü მერია - 4,358.0 ათასი ლარი;

ü სარეზერვო ფონდი - 50.0 ათასი ლარი;

ü წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა- 10,0 ათასი ლარი;

ü ა(ა)იპ ლენტეხის თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი-525,0 ათასი ლარი;

ü ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა - 7,0 ათასი ლარი;

ü არქივი - 4,7 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**2026 წლის პროექტი**
	სულ ჯამი	**20,400.0**
01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს ფინანსება**	**5,838.2**

01	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**5,838,2**
01 01 01	საკრებულო	1,480.2
01 01 02	მერია	4,358.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	596,7
01 02 01	სარეზერვი ფონდი	50,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	10,0
01 02 03	აუდიტორული მომსახურება	0,0
01 02 04	ა(ა)იპ ლენტეხის თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი	525,0
01 02 05	ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა	7,0
01 02 06	არქივი	4,7
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	8,340,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის	200,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,073,5
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	728.4
02 02 02	სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	345.1
02 03	გარე განათება	30,0
02 03 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	30,0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,202.5
02 04 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერებისა და ფასადების მოწყობა)	2,202.5
02 05	საპროექტო სამშენებლო სამუშაოების ტექ. დოკუმენტაციის შედგენა და მეწყერსაწინააღმდეგო კედლის მშენებლობა	520.1
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	604,0
02 07	ა(ა)იპ ფერმერული მომსახურების ცენტრი	213,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	847,0
03 01	ა(ა)იპ კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა / დასუფთავების ღონისძიებები /	554,0
03 02	ა(ა)იპ გარემოს დაცვის და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი	293,0
04 00	განათლება	1,555,7
04 02	ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანება სკოლამდელი განათლება	1,555,7
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2,634.5
05 01	სპორტული სფეროს განვითარება	830,5
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	160.0
05 02 02	ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრი	123,0
05 02 06	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრი ლაილა	226,0
05 02 07	ა(ა)იპ სასპორტო სკოლების გაერთიანება	321,5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,788,0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	50,0
05 02 04	ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება	272.8
05 02 05	ა(ა)იპ ლ.მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	207,7
05 02 13	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	25,0
05 02 14	ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	951,0
05 02 15	ა(ა)იპ ჯ.მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი	281.5
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	10,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	6,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	587,3
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	267,3
06 01 01	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრი	267,3
06 04	სოციალური დავცა	320,0
06 04 01	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება	106,0
06 04 02	სარიტუალო მომსახურება (უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები)	4,4
06 04 03	ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (კომპენსაციები)	10,6
06 04 04	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	15,0
06 04 05	ხანძრისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება	5,0
06 04 06	მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი) და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი	25,0
06 04 07	ხანდაზმულთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი	9,0
06 04 08	სოციალურად დამოკიდებული ბინადრებისა დახმარება	15,0

06 04 08	დისლექსიაზე დასაკიდებული სპეციფიკურობა დასანერგი	15,0
06 04 09	უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა	0,0
06 04 10	სამედიცინო მომსახურების ხარჯი	130,0
06 04 11	სტიქიის (დიდთოვლობის) შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება	0,0

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

Ø საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6,420.2 ათასი ლარი;
Ø თავდაცვა - 0.0 ათასი ლარი;
Ø ეკონომიკური საქმიანობა - 7,049.3 ათასი ლარი;
Ø გარემოს დაცვა - 847,0 ათასი ლარი;
Ø საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1,571.5 ათასი ლარი;
Ø ჯანმრთელობის დაცვა - 267,3 ათასი ლარი;
Ø კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები -2,534,5 ათასი ლარი;
Ø განათლება - 1,555,7 ათასი ლარი;
Ø სოციალური დაცვა 320,0 ათასი ლარი;

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2026-2029 წლები);
2. ინფორმაცია 2025 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია მე-6 მუხლის „ბ3.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;
7. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
8. ინფორმაციას საბიუჯეტო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეული და შეფასებული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ,

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

მოხსენების შემდეგ საკრებულოს წევრებმა შეკითხვები დაუსვეს მომხსენებელს.

შეკითხვები იყო გარე განათებასთან დაკავშირებით, სარეზერვო ფონდის ხარჯვასთან დაკავშირებით, ასევე ა(ა)ი. პირების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა შეკითხვა დასვა სტიქიის (დიდთოვლობის) შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარებაზე.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ დიდთოვლობის დროს არ დაზიანებულა არცერთი საცხოვრებელი სახლი, დაზიანდა დამატებითი ნაგებობები. დამატებით ნაგებობებზე კი დახმარება არ გაიცემა.

აზრი გამოთქვა: გარემოს დაცვის და ბუნებრივ რესურსთა საკითხების კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა - გარე განათებასთან დაკავშირებით გვაქვს საკმაოდ დიდი ხარჯი. სოფლებში დღისითაც ანთია შუქები. ეს არის მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება საქმისადმი. ამიტომ ა(ა)ი. პირებში ფუნქციების განაწილებისას გავითვალისწინოთ ეს გარემოება და დავავლოთ კონკრეტულ პირებს ამ საკითხის რეგულირება .

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -20

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

3.მოისმინეს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გასვიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი მოწვევის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობა განისაზღვრა საკრებულოს პირველ სხდომაზე, მაგრამ საკრებულოს წევრებს გოგი ონიანს და ლამზირა გუგავას სამსახურეობრივი შეუთავსებლობის გამო სეუწყდათ საკრებულოს წევრის სტატუსი. მათ ადგილმონაცვლედ საკრებულოში შემოვიდნენ ახალი წევრები მალხაზი ბენდელიანი და თემური ლიპარტელიანი. შესაბამისად შეიცვალა სოც. კომისიის და ქონების მართვის და ბუნებრივ რესუ შემადგენლობა. განკარგულების პროექტის მიხედვით კომისიების შემადგენლობა განისაზღვრა ასეთი სახით:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა

სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა :

1. ცირა ლიპარტელიანი

2. მარეხი ონიანი

3. ზურაბ ონიანი

4. მალხაზი ბენდელიანი

5. დალი ტვილდიანი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა :

1. ელდარ ლიპარტელიანი

2. ხუტა მუკბანიანი

3. ამირან ქურასბედიანი

4. რეზო გუჯეჯიანი

5. ნინო ბენდელიანი

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა :

1. მევლუდ ლიპარტელიანი

2. ხუტა მუკბანიანი

3. მურმან ტვილდიანი

4. სოსო ავალიანი

5. ირაკლი ქურასბედიანი

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობა: 1. თორნიკე გასვიანი

2. ამირან ქურასბედიანი

3. ზურაბ ონიანი

4. იაკობ გაზდელიანი

5. ნინო ბენდელიანი

საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის შემადგენლობა :

1. დათო ფურელიანი

2. ირაკლი ქურასბედიანი

3. კახა ლიპარტელიანი

4. თემურ ლიპარტელიანი

5. გამზა ლიპარტელიანი

შენიშვნა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -20

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობის შესახებ.

4. მოისმინეს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ა(ა) ი. პირების 2026 წლის პროექტების მიხედვით გათვლილი სუბსიდეები, ხარჯები და საშტატო რიცხოვნება:

1) ა(ა)იპ ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი;

2) ა(ა)იპ ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანება;

3) ა(ა)იპ კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა;

4) ა(ა)იპ ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი;

5) ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება;

6) ა(ა)იპ ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;

7) ა(ა)იპ გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი;

8) ა(ა)იპ ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრი;

9) ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება;

10) ა(ა)იპ სასპორტო სკოლების გაერთიანება;

11) ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრი;

12) ა(აიპ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრი;

13) ა(ა)იპ ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა - მურმან ტვილდიანმა - ამ საკითხზე გვქონდა მსჯელობა ბიუროს სხდომაზეც. ცოტა რთული საკითხია და კარგი იქნება, თუ აქტიურად ჩავერთვებით დასაქმებული პირების სიების დაზუსტებაში.

ანალოგიური აზრი დააფიქსირა საკრებულოს წევრმა დალი ტვილდიანმაც.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარეხი ონიანმა - ჩვენ, მაჟორიტარ დეპუტატებს უნდა გვქონდეს ზუსტი ინფორმაცია თემების მიხედვით ვინ და რამდენი პიროვნებაა დასაქმებული ა(ა)ი.პირებში. მაგარამ დღეს აუცილებლად მხარს დავუჭერთ ფინანსური ნაწილის დამტკიცებას.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ელდარი ლიპარტელიანმა - ჩვენ, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები გავეცანით ა(ა)ი. პირების მიერ წარმოდგენილ 2026 წლის გეგმა-პროგრამების პროექტებს. უნდა აღინიშნოს, რამდენიმე აიპის გეგმა - პროგრამა არ იყო სრულყოფილი, აკლდა დასაქმებულების სიები. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ მარტის პირველი რიცხვებიდან დავიწყოთ დეტალური განხილვა აიპიების გემა-პროგრამების.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

მომხრე - 20

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2026 წლის სუბსიდიები.

5. **მოისმინეს:** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ძალიან ცუდი მდგომარეობაა დაბაში. წყლის სისტემის რეაბილიტაციის შედეგად დაზიანებულია ასფალტის საფარი, რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას. ეს საკითხი განვიხილეთ კომისიის სხდომაზეც და ვიმსჯელოთ დღესაც, რომ გამოვნახოთ გამოსავალი.

   პასუხად მერის მოადგილემ ლევან ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე იყო მსჯელობა მერთან ერთად და მერის ინიციატივით უახლოეს დღეებში იგეგმება შაბათობის მოწყობა, ხრეშის შემოტანა და ორმოების ამოვსება.

   აზრი გამოთქვა: მურმან ტვილდიანმა - უმჯობესია შემოტანილი იქნას დაფქული ძველი ასფალტი და დატკეპნის მერე უფრო ხანგრძლივად გაძლებს.

   თორნიკე გასვიანი: ეთხოვოს შემსრულებელს, პირველ რიგში სრულყოფილად დაამთავროს თამარ მეფის ქუჩა და მერე გადავიდეს სხვა ქუჩის რეაბილიტაციაზე, რომ აუტანელი არ იყოს ზაფხულში დაბაში ყოფნა.

   მერის მოადგილემ ლევან ლიპარტელიანმა პასუხად აღნიშნა, რომ ეს წინადადება მისაღებია და დაელაპარაკებიან შემსრულებელს.

   საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა მერის მოადგილეს დაუსვა შეკითხვა საყოველთაო გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით: თუ არის გათვლილი რაიმე შეღავათი მოსახლეობაზე.

   მერის მოადგილემ პასუხად აღნიშნა, რომ მას ამ საკითხზე არ აქვს კონკრეტული ინფორმაცია.

   სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ხუტა მუკბანიანმა შეაჯამა საკითხი და აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს სხვა გამოსავალი სექტემბრამდე, გარდა იმისა, რომ გავითავისოთ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა შაბათობის მოწყობაზე და ორმოების ამოვსებაზე.

   დღის წესრიგით გათვლილი საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა 14 საათზე სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი